

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №125

2024 წლის 3 აპრილი

ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტის – ორგანულ (ბიოლოგიურ, ეკოლოგიურ) წარმოებაში გამოსაყენებლად დაშვებული პროდუქტებისა და ნივთიერებების შესახებ დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „ტექნიკური რეგლამენტი – ორგანულ (ბიოლოგიურ, ეკოლოგიურ) წარმოებაში გამოსაყენებლად დაშვებული პროდუქტებისა და ნივთიერებების შესახებ“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2027 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი კობახიძე

ტექნიკური რეგლამენტი – ორგანულ (ბიოლოგიურ, ეკოლოგიურ) წარმოებაში გამოსაყენებლად დაშვებული პროდუქტებისა და ნივთიერებების შესახებ

მუხლი 1. რეგულირების სფერო

„ტექნიკური რეგლამენტი – ორგანულ (ბიოლოგიურ, ეკოლოგიურ) წარმოებაში გამოსაყენებლად დაშვებული პროდუქტებისა და ნივთიერებების შესახებ“ (შემდგომ – ტექნიკური რეგლამენტი) ადგენს იმ პროდუქტებისა და ნივთიერებების ჩამონათვალს, რომელიც „ტექნიკური რეგლამენტი – ორგანული (ბიოლოგიური, ეკოლოგიური) წარმოების წესებისა და ორგანული (ბიოლოგიური, ეკოლოგიური) პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 11 აპრილის №149 დადგენილებით (შემდგომ – ორგანული წარმოების წესი) განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით, დაშვებულია გამოყენებულ იქნეს ორგანულ (ბიოლოგიური, ეკოლოგიური) წარმოებაში.

მუხლი 2. მცენარეთა დაცვის საშუალებების მოქმედი (აქტიური) ნივთიერებები

ორგანულ წარმოებაში დაშვებულია მხოლოდ ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართ №1-ით – „ორგანულ წარმოებაში დაშვებული მცენარეთა დაცვის საშუალებების მოქმედი (აქტიური) ნივთიერებები“ განსაზღვრული მოქმედი (აქტიური) ნივთიერებები, იმ პირობით, თუ ამ პროდუქტებისა და ნივთიერებების გამოყენება აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 3. სასუქები, ნიადაგის მელიორანტები და საკვები ნივთიერებები

ორგანულ წარმოებაში, მცენარეთა კვებისთვის, წყალმცენარეების კულტივირების ან აკვაკულტურის ცხოველების მოშენებისათვის დაშვებულია მხოლოდ ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი №2-ით – „ორგანულ წარმოებაში დაშვებული სასუქები, ნიადაგის მელიორანტები და საკვები ნივთიერებები“.



განსაზღვრული სასუქების, ნიადაგის მელიორანტების და საკვები ნივთიერებების გამოყენება, იმ პირობით, თუ ამ პროდუქტებისა და ნივთიერებების გამოყენება აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 4. ცხოველის საკვებში გამოსაყენებლად განკუთვნილი მცენარეული, ცხოველური, მიკრობული ან მინერალური წარმოშობის, წყალმცენარეების ან საფუვრიდან მიღებული არაორგანული მასალა

ორგანულ წარმოებაში, ცხოველთა საკვებში გამოსაყენებლად დაშვებულია მხოლოდ ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი №3-ის – „ცხოველის საკვებად ან ცხოველის საკვების წარმოებაში გამოსაყენებლად დაშვებული პროდუქტები და ნივთიერებები“, „ნაწილი „ა“-თი „ცხოველის საკვებისათვის განკუთვნილი მცენარეული, ცხოველური წარმოშობის, წყალმცენარეების ან საფუვრიდან მიღებული არაორგანული მასალები ან მიკრობული ან მინერალური წარმოშობის ცხოველის საკვების მასალები“ განსაზღვრული პროდუქტების და ნივთიერებების გამოყენება იმ პირობით, თუ მათი გამოყენება აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 5. ცხოველის საკვების დანამატები და გადამუშავების დამხმარე საშუალებები

ორგანულ წარმოებაში, ცხოველთა საკვებში დაშვებულია მხოლოდ ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი №3-ის ნაწილი „ბ“ - თი – „დაშვებული ცხოველის საკვების დანამატები და გადამუშავების დამხმარე ტექნოლოგიური დანამატები“ განსაზღვრული პროდუქტების და ნივთიერებების გამოყენება იმ პირობით, თუ მათი გამოყენება აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 6. დასუფთავებისა და დეზინფექციის პროდუქტები/საშუალებები

1. ორგანულ წარმოებაში, მეცხოველეობაში გამოყენებული ოჩხების, ტბორების, ავზების(რეზერვუარების) ან წყალსარინების, ასევე შენობების, სადგომების ან დანადგარების/აპარატურის დასუფთავებისა და დეზინფექციისათვის დაშვებულია მხოლოდ ამ ტექნიკური რეგლამენტის „დასუფთავებისა და დეზინფექციისთვის დაშვებული პროდუქტები“ დანართი №4-ის ნაწილი „ა“-თი – ტბორების, გალიების, ცისტერნების, არხების, მეცხოველეობისათვის გამოყენებული შენობებისა და კონსტრუქციების დასუფთავებისათვისა და დეზინფექციისათვის დაშვებული პროდუქტები“-თ განსაზღვრული პროდუქტების და ნივთიერებების გამოყენება იმ პირობით, თუ მათი გამოყენება აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. ორგანულ მემცენარეობაში გამოყენებული შენობებისა და აპარატურის, მათ შორის, საწყობების, დასუფთავებისა და დეზინფექციისათვის დაშვებულია მხოლოდ ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი №4-ის ნაწილი „ბ“-თი – „ორგანულ მემცენარეობაში დასუფთავებისა და დეზინფექციისთვის დაშვებული პროდუქტები/საშუალებები“ განსაზღვრული პროდუქტების და ნივთიერებების გამოყენება იმ პირობით, თუ მათი გამოყენება აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3. გადამამუშავებელი საწარმოებისა და სასაწყობო სათავსებში დასუფთავებისა და დეზინფექციისათვის დაშვებულია მხოლოდ ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი №4-ის „ნაწილი გ“-თი – „გადამამუშავებელ საწარმოებსა და სასაწყობო სათავსებში დასუფთავებისა და დეზინფექციისთვის დაშვებული პროდუქტები/საშუალებები“ განსაზღვრული პროდუქტების და ნივთიერებების გამოყენება იმ პირობით, თუ მათი გამოყენება აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი №4-ის „ა“ , „ბ“ ან „გ“ ნაწილში შეტანამდე, დასუფთავებისა და



დეზინფექციის იმ საშუალებების გამოყენება, რომლებიც განსაზღვრულია ორგანული წარმოების წესის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით, და, რომელთა გამოყენება დაშვებულია „ბიოწარმოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის №198 დადგენილებით – შეიძლება გაგრძელდეს ორგანული წარმოების წესის ძალაში შესვლამდე, თუ მათი გამოყენება აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 7. სურსათის საკვებდანამატები და გადამუშავების დამხმარე ტექნოლოგიური საშუალებები

ორგანული სურსათის წარმოებისათვის დაშვებულია მხოლოდ ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი №5-ის – „პროდუქტები და ნივთიერებები, რომლებიც დაშვებულია გადამუშავებული ორგანული სურსათის წარმოებაში და სურსათისა და ცხოველის საკვებში გამოყენებული საფუვრის წარმოებაში“ ნაწილი „ა“-თი „სურსათის წარმოებაში დაშვებული საკვებდანამატები და გადამუშავების დამხმარე ტექნოლოგიური დანამატები“, განსაზღვრული პროდუქტების და ნივთიერებების გამოყენება იმ პირობით, თუ მათი გამოყენება აკმაყოფილებს „საკვებდანამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის №585 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 8. გადამუშავებული ორგანული სურსათის წარმოებაში დაშვებული არაორგანული სასოფლო-სამეურნეო ინგრედიენტები

1. გადამუშავებული ორგანული სურსათის წარმოებაში დაშვებულია მხოლოდ ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი №5-ის – „არაორგანული სასოფლო-სამეურნეო ინგრედიენტები, რომლებიც დაშვებულია გადამუშავებული სურსათის წარმოებაში“ – ნაწილი „ბ“-თი, განსაზღვრული პროდუქტების და ნივთიერებების გამოყენება იმ პირობით, თუ მათი გამოყენება აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება ორგანული წარმოების წესის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ არაორგანულ სასოფლო-სამეურნეო ინგრედიენტებზე, რომლებიც გამოიყენება როგორც საკვებდანამატი, გადამუშავების დამხმარე ტექნოლოგიური დანამატი ან პროდუქტი.

მუხლი 9. გადამუშავების დამხმარე ტექნოლოგიური დანამატები საფუვრისა და საფუვრის პროდუქტების წარმოებისთვის

ორგანული სურსათისა და ცხოველის საკვებში გამოსაყენებლად განკუთვნილი საფუვრისა და საფუვრის პროდუქტების წარმოებისათვის დაშვებულია მხოლოდ ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი №5 „სურსათის და ცხოველის საკვებში გამოსაყენებელი საფუვრის და საფუვრის პროდუქტებში დაშვებული დამხმარე ტექნოლოგიური დანამატები“ ნაწილი „გ“-თი განსაზღვრული პროდუქტების და ნივთიერებების გამოყენება იმ პირობით, თუ მათი გამოყენება აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 10. ორგანული ღვინის წარმოებაში დაშვებული პროდუქტები და ნივთიერებები

ორგანული ღვინის წარმოებისა და შენახვისათვის დაშვებულია მხოლოდ ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი №5-ის „ღვინის სექტორში ორგანული ვაზის პროდუქტების წარმოებისა და კონსერვაციისათვის დაშვებული პროდუქტები და ნივთიერებები“ ნაწილი „დ“-თი განსაზღვრული პროდუქტების და ნივთიერებების გამოყენება იმ პირობით, თუ მათი გამოყენება აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.



ორგანულ წარმოებაში დაშვებული მცენარეთა დაცვის საშუალებების მოქმედი (აქტიური) ნივთიერებები

(რომლებიც განსაზღვრულია ორგანული წარმოების წესის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად)

1. ამ დანართით განსაზღვრულ მოქმედ (აქტიური) ნივთიერებებს შეიძლება შეიცავდეს ორგანულ წარმოებაში გამოყენებისათვის განკუთვნილი მცენარეთა დაცვის პროდუქტები, დანართით განსაზღვრული გამოყენების სპეციფიკური პირობების და ზღვრების გათვალისწინებით, თუ მათი გამოყენება დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით.

2. ორგანულ წარმოებაში, მცენარეთა დაცვის პროდუქტების შემადგენლობაში ანტიდოტების, სინერგისტების და კოფორმულანტების, აგრეთვე ადიუვანტების, როგორც შემადგენელი კომპონენტების გამოყენება დაშვებულია იმ პირობით, თუ საქართველოს კანონმდებლობით მათი გამოყენება დაშვებულია. ამ დანართით განსაზღვრული ნივთიერებები გამოიყენება მხოლოდ მავნებლების კონტროლისათვის.

3. ამ დანართით განსაზღვრული ნივთიერებების გამოყენება დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მავნებლებისაგან მცენარეთა დაცვა სათანადოდ ვერ ხდება ბიოლოგიური აგენტების, კერძოდ, სასარგებლო მწერების, ნემატოდების ან ტკიპების გამოყენებით.

4. ამ დანართის მიზნებისათვის აქტიური (მოქმედი) ნივთიერებები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

4.1. ძირითადი ნივთიერებები

ა) ორგანულ წარმოებაში დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ძირითადი ნივთიერებების გამოყენება, იმ სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით, რომლებიც ამ დანართის ცხრილი №1-ის ბოლო სვეტშია მითითებული;

ბ) ეს ძირითადი ნივთიერებები არ უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც ჰერბიციდი.

ცხრილი №1

№	ნომერი და ნაწილი	CAS	დასახელება	გამოყენების სპეციფიკური პირობები და ზღვარი
1	1C		მინდვრის შვიტა* Equisetum arvense L.*	
2	2C	70694-72-3	ქიტოზანის ჰიდროქლორიდი*	მიღებული <i>Aspergillus</i> -დან ორგანული აკვაკულტურიდან ან მდგრადი თევზჭერიდან



3	3C	57-50-1	საქაროზა*	
4	4C	1305-62-0	კალციუმის ჰიდროქსიდი	
5	5C	90132-02-8	ძმარი*	
6	6C	8002-43-5	ლეციტინები*	
7	7C	-	ტირიფი (Salix spp.) ქერქი*	
8	8C	57-48-7	ფრუქტოზა*	
9	9C	144-55-8	ნატრიუმის ჰიდროკარბონატი	
10	10C	92129-90-3	შრავი*	
11	11C	7783-28-0	დიამონიუმის ფოსფატი	მხოლოდ ხაფანგებში/სატყუარებში/დამჭერებში
12	12C	8001-21-6	მზესუმზურის ზეთი	
13	14C	84012-40-8 90131-83-2	ჰინჭრის (<i>Urtica dioica</i> , <i>Urtica urens</i>) ექსტრაქტი*	
14	15C	7722-84-1	წყალბადის ზეჟანგი	
15	16C	7647-14-5	ნატრიუმის ქლორიდი	
16	17C	8029-31-0	ლუდი	
17	18C	-	მდოვრის თესლის ფხვნილი*	
18	19C	14807-96-6	მაგნიუმის ჰიდრომეთილსილიკატი (ტალკი E553b)	სურსათისთვის, „ტექნიკური რეგლამენტის – საკვებდანამატების სპეციფიკაციების შესახებ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 7 აგვისტოს №379 დადგენილების შესაბამისად



19	20C	8002-72-0	ნივრის ზეთი*	
20	21C	52-89-1	L-ცისტეინი (E 920)	
21	22C	8049-98-7	ძროხის რძე*	
22	23C	-	ხახვის (Allium cepa) L. ბოლქვის ექსტრაქტი *	
23	24C	9012-76-4	ქიტოზანი *	მიღებული ასპერგილუსიდან (<i>Aspergillus</i>) ან ორგანული აკვაკულტურიდან ან მდგრადი თევზჭერიდან
24			სხვა ძირითადი ნივთიერებები მცენარეული ან ცხოველური წარმოშობის და სურსათის ფუძეზე*	
(*) - ნივთიერებები მცენარეული ან ცხოველური წარმოშობის და სურსათის ფუძეზე				

4.2. დაბალი რისკის მოქმედი ნივთიერებები

დაბალი რისკის მქონე აქტიური (მოქმედი) ნივთიერებები (D კატეგორია), გარდა მიკროორგანიზმებისა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ორგანულ წარმოებაში მცენარეთა დაცვისათვის. მათი გამოყენება დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დანიშნულების, პირობების და შეზღუდვების შესაბამისად, და ასევე ამ დანართის ცხრილ N2-ში მოცემული გამოყენების სპეციფიკური პირობებისა და ზღვრების გათვალისწინებით.

ცხრილი №2

№	ნომერი და ნაწილი	CAS	დასახელება	გამოყენების სპეციფიკური პირობები და ზღვარი
1	2D	-	COS-OGA (ოლიგოსაქარიდული ელისიტორი)	
2	3D	-	მიკროორგანიზმების უჯრედების ფრაგმენტებზე დაფუძნებული ცერევიზანი (Cerevisane) და სხვა პროდუქტები	არაგენეტიკურად მოდიფიცირებული / გენმოდულირებული ორგანიზმი – (შემდგომ - გმო) წარმოშობის
3	5D	10045-86-6	რკინის ფოსფატი (სამვალენტის რკინის ორთოფოსფატი)	
4	12D	9008-22-4	ლამინარინი	კელპი (წყალმცენარის ნაცარი) მიღებული უნდა იქნეს ორგანული აკვაკულტურიდან ან მოპოვებულ იქნეს მდგრადი მეთოდებით, ორგანული წარმოების წესის 38-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით
5	16D	CAS არ არის მინიჭებული	ABE-IT 56 (<i>Saccharomyces cerevisiae</i> -ის <i>DDSF623</i>) შტამის ლიზატის კომპონენტები	არა გმო წარმოშობის არ იწარმოება გმო შემცველი საკვებ არეზე გაზრდილი კულტურიდან
5.1	19D	23960-07-8	ლავანდულის სენეციონატი	
6	20D	10058-44-3	რკინის პიროფოსფატი	



7	24D	144-55-8	ნატრიუმის ჰიდროკარბონატი	
8	28D	-	თეთრი ხანჭკოლას - ტკბილი (<i>Lupinus albus L.</i>) - ღივების (გაღივებული თესლი) წყლიანი ექსტრაქტი	
9			დაბალი რისკის მცენარეული ან ცხოველური წარმოშობის სხვა ნივთიერებები *	დაუშვებელია ჰერბიციდის სახით გამოყენება
10	32D	298-14-6	კალიუმის ჰიდროკარბონატი	
11	38D		Lepidoptera-ს (ქერცლფრთიანები) სწორჯაჭვიანი ფერომონები (აცეტატები)	
12	39D	98999-15-6	ცხვრის ქონი	გამოიყენება როგორც რეპელენტი
13	44D	14808-60-7 და 7631-86-9	კვარცის ქვიშა სილიციუმის დიოქსიდი	

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 13 ოქტომბრის დადგენილება №451 - ვებგვერდი, 15.10.2025წ.

4.3. მიკროორგანიზმები

მიკროორგანიზმი შეიძლება იყოს გამოყენებული ორგანულ წარმოებაში, თუ ისინი არ არიან გმო და მათი გამოყენება დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დანიშნულების, პირობების და შეზღუდვების შესაბამისად. მიკროორგანიზმები, მათ შორის ვირუსები, წარმოადგენენ ბიოლოგიური დაცვის საშუალებებს (აგენტები), რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობა განიხილავს, როგორც მოქმედ ნივთიერებებს.

5. აქტიური (მოქმედი) ნივთიერებები, რომლებიც არ მიეკუთვნება „4.1“, „4.2“ და „4.3“ კატეგორიებს

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და ამ დანართის ცხრილ №3-ში მოცემული აქტიური (მოქმედი) ნივთიერებები ორგანულ წარმოებაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც მცენარეთა დაცვის საშუალებები, თუ მათი გამოყენება განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დანიშნულების, პირობების და შეზღუდვების შესაბამისად.

ცხრილი №3

№	ნომერი და ნაწილი	CAS-ის კოდი	დასახელება	გამოყენების სპეციფიკური პირობები და ზღვრები
1	139A	131929-60-7 131929-63-0	სპინოზადი	
2	225A	124-38-9	ნახშირორჟანგი	
3	227A	74-85-1	ეთილენი	მხოლოდ ბანანსა და კარტოფილში. თუმცა, მისი გამოყენება აგრეთვე დაშვებულია ციტრუსებში, როგორც ხილის ბუზის ზიანის პრევენციის სტრატეგიის კომპონენტი
4	230A	i.a. 67701-09-1	ცხიმოვანი მჟავები	დასაშვებია ყველა დანიშნულებით გამოყენება, გარდა ჰერბიციდად გამოყენებისა



5	231A	8008-99-9	ნივრის (Allium sativum) ექსტრაქტი	
6	234A	CAS-ს კოდი დადგენილი არ არის. CIPAC N 901	ჰიდროლიზებული პროტეინები, გარდა ჟელატინისა	
7	(ამოღებულია - 13.10.2025, №451)			
8	(ამოღებულია - 13.10.2025, №451)			
9	(ამოღებულია - 13.10.2025, №451)			
10	220A	1332-58-7	ალუმინის სილიკატი (კაოლინი)	
11	236A	61790-53-2	კიზელგური (დიატომიტის მიწა)	
12	(ამოღებულია - 13.10.2025, №451)			
13	343A	11141-17-6 84696-25-3	აზადირაქტინი (მარგოზის ექსტრაქტი)	ექსტრაქცია ნიმის ხის (Azadirachta indica) თესლიდან
14	240A	8000-29-1	ციტრონელის ზეთი	დასაშვებია ყველა დანიშნულებით გამოყენება, გარდა ჰერბიციდად გამოყენებისა
15	241A	84961-50-2	მიხაკის ზეთი	დასაშვებია ყველა დანიშნულებით გამოყენება, გარდა ჰერბიციდად გამოყენებისა
16	242A	8002-13-9	რაფსის თესლის ზეთი	დასაშვებია ყველა დანიშნულებით გამოყენება, გარდა ჰერბიციდად გამოყენებისა
17	243A	8008-79-5	ბალის პიტნის ზეთი	დასაშვებია ყველა დანიშნულებით გამოყენება, გარდა ჰერბიციდად გამოყენებისა
18	56A	8028-48-6 5989-27-5	ფორთოხლის ზეთი	დასაშვებია ყველა დანიშნულებით გამოყენება, გარდა ჰერბიციდად გამოყენებისა
19	228A	68647-73-4	ჩაის ხის ზეთი	დასაშვებია ყველა დანიშნულებით გამოყენება, გარდა ჰერბიციდად გამოყენებისა
20	246A	8003-34-7	მცენარეული ექსტრაქტი პირეტრინი	
21	292A	7704-34-9	გოგირდი	
		64742-46-7		



22	294A 295A	72623-86-0 97862-82-3 8042-47-5	პარაფინის ზეთი	
23	345A	1344-81-6	კალციუმის პოლისულფიდი	
24	44B	9050-36-6	მალტოდექსტრინი	
25	45B	97-53-0	ევგენოლი	
26	46B	106-24-1	გერანიოლი	
27	47B	89-83-8	თიმოლი	
27.1	153B და სხვა		ფერომონები და სხვა სემიოქიმიკატები	მხოლოდ სატყუარებსა და დისპენსერებში
28	10E	20427-59-2	სპილენძის ჰიდროქსიდი	დასაშვებია ყოველ ერთ ჰექტარზე 7 წლის განმავლობაში არა უმეტეს 28 კილოგრამი სპილენძის შეტანა
29	10E	1332-65-6 1332-40-7	სპილენძის ოქსიკლორიდი	
30	10E	1317-39-1	სპილენძისჟანგი (ოქსიდი)	
31	10E	8011-63-0	ბორდოს ნარევი	
32	10E	12527-76-3	სპილენძის სამვალენტოანი სულფატი	
33	40A	52918-63-5	დელტამეტრინი	მხოლოდ სატყუარებში <i>Bactrocera oleae</i> (ზეთისხილის ბუზის) და <i>Ceratitis capitata</i> (ხმელთაშუაზღვის ნაყოფა ბუზის) სპეციალურ ატრაქტანტებთან ერთად
34	5E	91465-08-6	ლამბდაციჰალოტრინი	მხოლოდ სატყუარებში <i>Bactrocera oleae</i> (ზეთისხილის ბუზის) და <i>Ceratitis capitata</i> (ხმელთაშუაზღვის ნაყოფა ბუზის) სპეციალურ ატრაქტანტებთან ერთად

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 13 ოქტომბრის დადგენილება №451 - ვებგვერდი, 15.10.2025წ.

დანართი №2

ორგანულ წარმოებაში დაშვებული სასუქები, ნიადაგის მელიორანტები და საკვები ნივთიერებები



(რომლებიც განსაზღვრულია ორგანული წარმოების წესის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად)

ა) ორგანულ წარმოებაში შეიძლება დანართი №2-ით განსაზღვრული სასუქების, ნიადაგის მელიორანტებისა და საკვები ნივთიერებების გამოყენება, თუ ისინი აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ბ) ორგანული წარმოების წესის მე-15 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მიკროორგანიზმების პრეპარატები დასაშვებია გამოყენებულ იქნეს ნიადაგის საერთო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ან ნიადაგში ან სასოფლო-სამეურნეო კულტურებში საკვები ნივთიერებების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად;

გ) მათი გამოყენება უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დანართის ცხრილ №1-ში მოცემული სპეციფიკური პირობებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით.

ცხრილი №1

№	შედგენილი პროდუქტის ან პროდუქტის დასახელება, რომლებიც შეიცავენ მხოლოდ ამ ცხრილში მოყვანილ მასალებს	აღწერა, სპეციფიკური პირობები და შეზღუდვები
1	ნაკელი	პროდუქტი შედგება ცხოველის ექსკრემენტებისა და მცენარეული ნარჩენების (ცხოველი საფენისა და საკვები მასალის) ნარევისგან, დამზადებულია არაქარხნული წესით
2	მშრალი ნაკელი და ფრინველის დეჰიდრირებული ექსკრემენტები	არაქარხნული წესით დამზადებული
3	ცხოველთა კომპოსტირებული ექსკრემენტები, მათ შორის ფრინველის ექსკრემენტები და მეურნეობის კომპოსტირებული ნაკელი	არაქარხნული წესით დამზადებული
4	ცხოველის თხევადი ექსკრემენტები (წუნწუხი, შარდი)	გამოიყენება კონტროლირებადი ფერმენტაციის ან/და შესაბამისი განზავების შემდეგ. არაქარხნული წესით დამზადებული
5	კომპოსტირებული ან ფერმენტირებული ბიოლოგიური ნარჩენები	პროდუქტი, რომელიც მიღებულია ბიოლოგიური ნარჩენების გამოცალკევებული შეგროვებით წყაროდან და რომელიც დაექვემდებარა კომპოსტირებას ან ანაერობულ ფერმენტირებას ბიოგაზის წარმოებისათვის მხოლოდ მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ბიოლოგიური ნარჩენები, თუ მათი წარმოება ხდება დახურულ, კონტროლირებად შეგროვების სისტემაში მაქსიმალური კონცენტრაცია მშრალ ნივთიერებაზე გადანაგარიშებით უნდა შეადგენდეს (მგ/კგ-ში) : კადმიუმი - 0,7; სპილენძი - 70; ნიკელი - 25; ტყვია - 45; თუთია - 200; ვერცხლისწყალი -0,4; ქრომი (საერთო) -70; ექსვალენტიანი ქრომი – /არ უნდა შეიცავდეს
6	ტორფი	გამოყენება დაშვებულია მხოლოდ მებოსტნეობა- მებაღეობაში (მებაღეობა, მეყვავილეობა, მებოსტნეობა, სანერგეები)

7	სოკოს კულტურის ნარჩენები	სუბსტრატის საწყისი შედგენილობა, ამ დანართში ჩამოთვლილი პროდუქტებით უნდა შემოიფარგლოს
8	ჭიაყელას (ვერმიკომპოსტი) და მწერების ექსკრემენტები	სადაც მიზანშეწონილია
9	გუანო	
10	ბოსტნეულის მასალის კომპოსტირებული ან ფერმენტირებული ნარევი	პროდუქტი, რომელიც მიღებულია კომპოსტირებას, ან ბიოგაზის მისაღებად ანაერობულ ფერმენტაციას დაქვემდებარებული მცენარეული ნედლეულის ნარევისაგან
11	ბიოგაზის დიგესტატი (ნარჩენები), რომელიც მცენარეულ ან ცხოველური წარმოშობის მასალასთან ერთად შეიცავს ფერმენტირებულ ცხოველურ სუბპროდუქტებს, როგორც ეს მითითებულია ამ დანართში	ცხოველური სუბპროდუქტები გარეული ცხოველების სუბპროდუქტების ჩათვლით, ქარხნული წესით დამზადებული აკრძალულია პროცესები არ უნდა შეეხოს სასოფლო-სამეურნეო კულტურის საჭმელად ვარგის ნაწილებს
12	ცხოველური წარმოშობის პროდუქტები ან სუბპროდუქტები: • სისხლის ფეკილი; • ჩლიქის ფეკილი; • რქის ფეკილი; • ძვლის ფეკილი ან ქელატიზაციონალი ძვლის ფეკილი; • თევზის ფეკილი; • ხორცის ფეკილი; • ბუმბულის, ბალნის და ტყავის ფეკილი; • მატყლი; • ბეწვი (1) • თმა; • რძის პროდუქტები; • ჰიდროლიზებული პროტეინები(2)	(1) ექსვალენტური ქრომის მაქსიმალური კონცენტრაცია მშრალ ნივთიერებაში - არ უნდა აღმოჩნდეს; (2) არ ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო კულტურის საჭმელად ვარგის ნაწილებზე.
13	მცენარეული წარმოშობის პროდუქტები და სუბპროდუქტები სასუქისათვის	მაგ., ზეთოვანი კულტურების კოპტონი, კაკაოს ჩენჩო; ალაოს ღერო
14	მცენარეული წარმოშობის ჰიდროლიზებული პროტეინები	
15	წყალმცენარეები და წყალმცენარეების პროდუქტები	მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიღებულია: ა) ფიზიკური პროცესებით, მათ შორის დეჰიდრატაციით, გაყინვით და დაფქვით; ბ) წყლით ან მჟავას წყალხსნარით ან/და ტუტე ხსნარით ექსტრაქციით; გ) ფერმენტაციით; მოპოვებულ იქნეს მდგრადი მეთოდებით, ორგანული წარმოშობის წესის 38-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით
16	ნახერხი, ნაფოტი და ბურბუშელა	ხე, რომელიც მოჭრის შემდეგ ქიმიურად არ არის დამუშავებული
17	ხის ქერქი კომპოსტირებული	ხე, რომელიც მოჭრის შემდეგ ქიმიურად არ არის დამუშავებული
18	ნაცარი	ხე, რომელიც მოჭრის შემდეგ ქიმიურად არ არის დამუშავებული
	რბილი ქანის ფოსფატი	პროდუქტი, რომელიც მიღებულია რბილი მინერალური ფოსფატების დაფხვნილი; ძირითადი ინგრედიენტების სახით შეიცავს კალციუმის ფოსფატს (სამჩანაცვლებული $Ca_3(PO_4)_2$ და კალციუმის კარბონატს. საკვები ელემენტების მინიმალური შემცველობა პროცენტულად (მასის მიხედვით):



19		25% - P_2O_5 ფოსფორი გამოხატულია, როგორც მინერალურ მჟავაში ხსნადი P_2O_5. მისი დეკლარირებული შემცველობის არანაკლებ 55% უნდა იყოს 2%-იან ჰიანჰელმჟავაში ხსნადი , ხოლო მისი ნაწილაკების: • - არანაკლებ მასის 90%, უნდა გაიცრას 0,063 მმ-იანი ზადის მქონე საცერში; • - არანაკლებ მასის 99%, უნდა გაიცრას 0,125 მმ-იანი ზადის მქონე საცერში; კადმიუმის შემცველობა P_2O_5-ში, მშრალ ნივთიერებაზე გადანგარიშებით, უნდა იყოს 1,5 მგ/კგ-ზე მეტი
20	ალუმინის-კალციუმის ფოსფატი	ამორფული პროდუქტი, მიღებული თბური დამუშავებით და დაფქვით, რომელიც შეიცავს ალუმინის და კალციუმის ფოსფატებს, როგორც აუცილებელ ინგრედიენტებს. საკვები ელემენტების მინიმალური შემცველობა პროცენტულად (მასის მიხედვით): 30% - P_2O_5 ფოსფორი გამოხატულია, როგორც მინერალურ მჟავაში ხსნადი P_2O_5. მისი დეკლარირებული შემცველობის არანაკლებ 75% უნდა იყოს ტუტე ამონიუმის ციტრატში ხსნადი , ხოლო მისი ნაწილაკების: - არანაკლებ მასის 90 %, უნდა გაიცრას 0,160 მმ-იანი ზადის მქონე საცერში; - არანაკლებ მასის 98%, უნდა გაიცრას 0,630 მმ-იანი ზადის მქონე საცერში; კადმიუმის შემცველობა P_2O_5-ში, მშრალ ნივთიერებაზე გადანგარიშებით, უნდა იყოს 1,5 მგ/კგ-ზე მეტი, ნიადაგის (pH > 7,5)
21	ძირითადი წიდები (ტომასის ფოსფატები ან ტომასის შლაკი)	პროდუქტი, მიღებული თუჯის გამოდნობისას ფოსფორის შენადნობების დამუშავებით, რომელიც ძირითად ინგრედიენტად შეიცავს კალციუმის სილიკოფოსფატებს. საკვები ელემენტების მინიმალური შემცველობა პროცენტულად (მასის მიხედვით): 12% - P_2O_5, ფოსფორი გამოხატულია მინერალურ (არაორგანულ) მჟავაში ხსნად ხუთვალენტთან ფოსფორის ოქსიდზე გადანგარიშებით, ამასთან ხუთვალენტის ფოსფორის ოქსიდის არანაკლებ 75% იხსნება 2%-იან ლიმონმჟავაში, ან, 10% - P_2O_5 ფოსფორი გამოხატულია ხუთვალენტთან ფოსფორის ოქსიდზე გადანგარიშებით, რომელიც ხსნადია 2%-იან ლიმონმჟავაში, ნაწილაკების ზომის - არანაკლებ მასის 75%, უნდა გაიცრას 0,160 მმ-იანი ზადის მქონე საცერში; - არანაკლებ მასის 96%, უნდა გაიცრას 0,630 მმ-იანი ზადის მქონე საცერში;



		ბადის მქონე საცერში
22	კალიუმის ქლორიდის მარილი	მიიღება კალიუმის ქლორიდის შემცველი ქანებიდან. საკვები ელემენტების მინიმალური შემცველობა პროცენტულად (მასის მიხედვით): 9% - K_2O კალიუმი გამოსახულია წყალში ხსნადი K_2O-ით 2 % - MgO მაგნიუმი გამოსახულია წყალში ხსნადი მაგნიუმის ჟანგით
23	სელენის მარილები	მხოლოდ ცხოველთა მოშენების, ან/და საძოვრების ან საკვები კულტურების წარმოებისთვის გამოყენებული ნიადაგების დეფიციტის შემთხვევაში
23.1	ნახშირორჟანგი	გამოიყენება წყლის გასამდიდრებლად ხმელეთზე, ჩაკეტილ სისტემებში წყალმცენარეების წარმოებაში; ამ შემთხვევაში ნახშირორჟანგი უნდა იყოს სასურსათე ხარისხის. როცა შესაძლებელია, ნახშირორჟანგი მიღებული უნდა იქნეს სხვა პროცესების გვერდით პროდუქტად ან განახლებადი წყაროებიდან, ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასათბურე წარმოებაში.
23.2	კალციუმის აცეტატი	გამოიყენება მხოლოდ ფოთლებზე შესასხურებლად სათბურში ბოსტნეულზე და ვაშლის ხეებზე კალციუმის დეფიციტის თავიდან ასაცილებლად. მიღებული უნდა იყოს ბუნებრივი წარმოშობის კალციუმის კარბონატისგან.
23.3	კალციუმის ფოსფატი	გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიღებულია ჩამდინარე წყლების ნალექების ნაცრიდან.
23.4	მცენარეული ბოჭკოვანი სუბსტრატები	მცენარეული ბოჭკოები, როგორიცაა კანაფის ბოჭკო, სელის ბოჭკო, ქოქოსის ბოჭკო, სასუქის, ნიადაგის მელიორანტის ან საკვები ნივთიერების, დანამატის ან შემკვრელი ნივთიერებების დამატების გარეშე – მხოლოდ მექანიკური დამუშავებით მიღებული, მხოლოდ ღივების წარმოებისთვის, როგორც ინერტული სუბსტრატი, როგორც ეს განსაზღვრულია „ტექნიკური რეგლამენტი – ორგანული (ბიოლოგიური, ეკოლოგიური) წარმოების წესებისა და ორგანული (ბიოლოგიური, ეკოლოგიური) პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 11 აპრილის №149 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-12 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით როცა შესაძლებელია, აუცილებელია ორგანული წარმოების მასალების გამოყენება.
23.5	კალციუმისა და მაგნიუმის გლუკონატი	მიკრობული ფერმენტაციით მიღებული
24	კალიუმის სულფატი, რომელიც შეიძლება შეიცავდეს მაგნიუმის მარილსაც	პროდუქტი მიიღება ფიზიკური ექსტრაქციით კალიუმის ქლორიდის შემცველი ქანებიდან, რომლებიც სავარაუდოდ შეიცავს მაგნიუმის მარილებს
25	ეთილის სპირტის წარმოების ნარჩენი (ბუყი) და მისი ექსტრაქტი	ამონიუმის შემცველი ნარჩენის გარდა
26	კალციუმის კარბონატი; ცარცი, მერგელი, დაფქული კირქვა, ბრეტონული მელიორანტი, ფოსფოროვანი კირქვა	მხოლოდ ბუნებრივი წარმოშობის
27	მოლუსკების ნარჩენი	მხოლოდ ორგანული აკვაკულტურიდან ან მდგრადი თევზსაჭერებიდან



28	კვერცხის ნაჭუჭი	მხოლოდ არაქარხნული წარმოშობის
29	მაგნიუმისა და კალციუმის კარბონატი	მხოლოდ ბუნებრივი წარმოშობის, მაგ.: მაგნიუმის ცარცი (კარბონატი), მაგნიუმის მიწა, კირქვა
30	მაგნიუმის სულფატი (კიზერტი)	მხოლოდ ბუნებრივი წარმოშობის
31	კალციუმის ქლორიდის ხსნარი	მხოლოდ ვაშლის ხეების ფოთლების დამუშავებისთვის, კალციუმის ნაკლებობის პრევენციის მიზნით.
32	კალციუმის სულფატი (თაბაშირი)	ბუნებრივი წარმოშობის პროდუქტი, რომელიც შეიცავს ჰიდრატაციის სხვადასხვა ხარისხის კალციუმის სულფატს საკვები ელემენტების მინიმალური შემცველობა პროცენტულად (მასის მიხედვით): 25 % CaO 35 % SO ₃ კალციუმი და გოგირდი გამოსახულია CaO + SO ₃ -ის საერთო რაოდენობის მიხედვით. დაფქვის სიმსხო: -არანაკლებ 80% გადის საცერში, რომლის უჯრედების ზომა 2 მმ-ია; -არანაკლებ 99 % გადის საცერში, რომლის უჯრედების ზომა 10 მმ-ია
33	სამრეწველო კირი შაქრის წარმოებიდან	ჭარხლის და ლერწმიდან შაქრის წარმოების მეორადი პროდუქტი
34	სამრეწველო კირი მარილის ვაკუუმ-კრისტალიზატორით წარმოებიდან	მთეში მარილის წყალში გახსნით მოპოვებული მარილხსნარიდან ვაკუუმ-კრისტალიზატორით წარმოებული მარილის სუბპროდუქტი
35	გოგირდი	ამ ნუტრიენტის დეკლარირებული შემცველობის 25%
36	არაორგანული მიკროელემენტების სასუქი	ამ ნუტრიენტის დეკლარირებული შემცველობის 25%
37	ნატრიუმის ქლორიდი	
38	ქვის ან ქანების ფხენილი, თიხა და თიხის მინერალები	მაგ., პერლიტი, ქვიშა და ვერმიკულიტი, მათ შორის, თერმულად (სითბურად) დამუშავებული; თუ პერლიტი, ქვიშა და ვერმიკულიტი თერმულად არის დამუშავებული, შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ინერტული სუბსტრატი ლივების წარმოებაში, როგორც ეს განსაზღვრულია „ტექნიკური რეგლამენტი – ორგანული (ბიოლოგიური, ეკოლოგიური) წარმოების წესებისა და ორგანული (ბიოლოგიური, ეკოლოგიური) პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 11 აპრილის №149 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-12 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით
39	ლეონარდიტი (ჰუმინური მჟავებით მდიდარი ორგანული ლექი)	მხოლოდ, თუ მოპოვებულია, როგორც სამთო სამუშაოების სუბპროდუქტი
40	ჰუმინის და ფულვის მჟავები	თუ მათ მისაღებად გამოყენებულია არაორგანული მარილები/ხსნარები, გარდა ამონიუმის მარილებისა; ან მიღებულია სასმელი წყლის გაწმენდის შედეგად



41	ქსილიტი	მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოპოვებულია, როგორც სამთო სამუშაოების სუბპროდუქტი (მაგ., მურა ნახშირის მოპოვების სუბპროდუქტი)
42	ქიტინი (პოლისაქარიდი, რომლის მოპოვება ხდება კიბოსნაირთა ჯავშნიდან)	ორგანული აკვაკულტურიდან ან მდგრადი თევზსაჭერებიდან მოპოვებული
43	მტკნარ წყალსატევებში, უქანგბადო პირობებში ჩამოყალიბებული ორგანული ⁽¹⁾ ნივთიერებებით მდიდარი დანალექი (მაგ., საპროპელი)	მხოლოდ მტკნარი წყალსატევების ორგანული ლექი, რომელიც წარმოადგენს მტკნარი წყლების ობიექტების მართვის თანმდევ პროდუქტს ან ყოფილი მტკნარი წყლების ლექს. მოპოვება ისე უნდა მოხდეს, რომ წყლის სისტემაზე გავლენა მინიმალური იყოს. ორგანული ნივთიერებებით მდიდარი დანალექის მოპოვება უნდა მოხდეს მხოლოდ პესტიციდებით, მდგრადი ორგანული დამაბინძურებლებით და ნავთობის მსგავსი ნივთიერებებით თავისუფალი ადგილებიდან
44	ბიონახშირი - პიროლიზის პროდუქტი, რომელიც მიიღება მცენარეული წარმოშობის მრავალი სახეობის ორგანულ მასალიდან და გამოიყენება, როგორც ნიადაგის მელიორანტი	მხოლოდ მცენარეული წარმოშობის, როდესაც დამუშავება ხდება მოსავლის აღების შემდეგ, დანართ №1-ში ჩამოთვლილი პროდუქტებით
45	აღდგენილი სტრუქტურა და დალექილი ფოსფატის მარილები	ცხოველურ ნაკვალს, როგორც წყაროს, არ შეიძლება ჰქონდეს ქარხნული ფერმერული წარმოშობა
46	ნატრიუმის ნიტრატი	მხოლოდ წყალმცენარეების წარმოშობისთვის ხმელეთზე, დახურულ სისტემებში
47	კალიუმის ქლორიდი (კალიუმის მურიატი)	მხოლოდ ბუნებრივი წარმოშობის
(1) აქ სიტყვა „ორგანული“ გამოიყენება ორგანული ქიმიის მნიშვნელობით და არა ორგანული მეურნეობის მნიშვნელობით		

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 13 ოქტომბრის დადგენილება №451 - ვებგვერდი, 15.10.2025წ.

დანართი №3

ცხოველის საკვებად ან ცხოველის საკვების წარმოებაში გამოსაყენებლად დაშვებული პროდუქტები და ნივთიერებები

ნაწილი „ა“

ცხოველის საკვებისათვის განკუთვნილი მცენარეული, ცხოველური წარმოშობის, წყალმცენარეების ან საფუვრიდან მიღებული არაორგანული მასალები ან მიკრობული ან მინერალური წარმოშობის ცხოველის საკვების მასალები

(რომელიც განსაზღვრულია ორგანული წარმოების წესის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით)

ცხრილი №1

1. მინერალური წარმოშობის ცხოველის საკვების მასალები

№	№ ცხოველის საკვების კატალოგის მიხედვით (1)	დასახელება	სპეციფიკური პირობები და ზღვრები
1	11.1.1	კალციუმის კარბონატი	



2	11.1.2	ზღვის ნიჟარები კალცინირებული	
3	11.1.4	მარჯნის წითელი წყალმცენარე	
4	11.1.5	ლითოთამნი (წითელი წყალმცენარე)	
5	11.1.6	კალციუმის ქლორიდი	მისი ცხოველის საკვებში გამოყენება დაშვებულია მხოლოდ „ცხოველის საკვების გამოყენებისა და ბაზარზე განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 თებერვლის №58 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ „განსაკუთრებული კვებითი დანიშნულების ცხოველის საკვებში“, მასტიტისა და სუბკლინიკური ჰიპოკალცემიის რისკის შემცირებისათვის, ბოლუსის ფორმით. კალციუმის ქლორიდი უნდა იყოს გაწმენდილი ბუნებრივი მარილწყალისგან. თუ შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მერმეული პრობებისათვის, საჭიროების მიხედვით, დროის შეზღუდულ პერიოდში
6	11.1.13	კალციუმის გლუკონატი	
7	11.2.1	მაგნიუმის ოქსიდი	
8	11.2.4	მაგნიუმის სულფატის ანჰიდრიდი	
9	11.2.6	მაგნიუმის ქლორიდი	
10	11.2.7	მაგნიუმის კარბონატი	
11	11.3.1	დიკალციუმის ფოსფატი	
12	11.3.2.	მონოდიკალციუმის ფოსფატი	
13	11.3.3	მონოკალციუმის ფოსფატი	
14	11.3.5	კალციუმ-მაგნიუმის ფოსფატი	
15	11.3.8	მაგნიუმის ფოსფატი	
16	11.3.10	მონონატრიუმის ფოსფატი	
17	11.3.16	კალციუმ-ნატრიუმის ფოსფატი	
18	11.3.17	მონოამონიუმის ფოსფატი (ამინიუმის დიჰიდრო ორთოფოსფატი)	მხოლოდ აკვაკულტურისათვის
19	11.3.19	პენტანატრიუმის ტრიფოსფატი (STPP)	მხოლოდ შინაური ბინადარი ცხოველების საკვებში
20	11.3.27	დინატრიუმის დიჰიდროგენდიფოსფატი (SAPP)	მხოლოდ შინაური ბინადარი ცხოველების საკვებში
21	11.4.1	ნატრიუმის ქლორიდი	
		ნატრიუმის ბიკარბონატი (ნატრიუმის	



22	11.4.2	ჰიდროკარბონატი	
23	11.4.4	ნატრიუმის კარბონატი	
24	11.4.6	ნატრიუმის სულფატი	
25	11.5.1	კალიუმის ქლორიდი	
1. „ცხოველის საკვების მასალის კატალოგის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 თებერვლის N59 დადგენილება			

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 13 ოქტომბრის დადგენილება №451 - ვებგვერდი, 15.10.2025წ.

ცხრილი №2

2. ცხოველის საკვების სხვა მასალები

№	№ ცხოველი საკვების კატალოგის მიხედვით (1)	დასახელება	სპეციფიკური პირობები და ზღვრები
1	Ex. 7.1.4	ზეთი წყალმცენარეების	ზეთი, რომელიც მიღებულია მიკროწყალმცენარეებისგან ექსტრაქციით, საკვები არის ფერმენტაციის გზით. ფერმენტაციის პროცესისათვის არ უნდა იქნეს გამოყენებული გმო წარმოშობის საკვები არე, თუ შესაძლებელია, ის უნდა იყოს ორგანული წარმოშობის
2	10	ფქვილი, ცხიმი (ზეთი, ქონი) და ცხოველის საკვების სხვა მასალები, თევზისა და წყლის სხვა ცხოველებისგან მიღებული	იმ პირობით, თუ ისინი მოპოვებულია მდგრად თევზსარეწ მეურნეობებში, რომლებიც სერტიფიცირებულია უფლებამოსილი კომპეტენტური ორგანოს მიერ აღირებული სერტიფიცირების სქემის მიხედვით, იმ პირობით, რომ ეს საკვები წარმოებულია ან დამზადებულია ქიმიური სინთეზით მიღებული გამხსნელების გარეშე. მათი გამოყენება დაშვებულია მხოლოდ არაბალახისმჭამელი ცხოველების გამოსაკვებად; თევზის პროტეინის(ცილის) ჰიდროლიზატის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ახალგაზრდა არაბალახისმჭამელი ცხოველების გამოსაკვებად
3	10	ფქვილი, ცხიმი (ზეთი, ქონი) და ცხოველის საკვების სხვა მასალები, თევზის, მოლუსკების ან კიბოსნაირებისგან მიღებული	აკვაკულტურის მტაცებელი თევზების გამოსაკვებად, თუ: • მოლუსკები და კიბოსნაირები მოპოვებულია მდგრად თევზსარეწებში, რომლებიც სერტიფიცირებულია კომპეტენტური ორგანოს მიერ აღიარებული სერტიფიცირების სქემის მიხედვით, რომელიც შეესაბამება ორგანული წარმოების წესის 39-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ა.გ“ განსაზღვრულ მოთხოვნებს. • წარმოებულია მდგრად თევზსარეწ მეურნეობებში ადამიანის მოხმარებისთვის დაჭერილი თევზის, კიბოსნაირების ან მოლუსკების ანაჭერებისგან, ორგანული წარმოების წესის 39-ე მუხლის მე-7 პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად ან • წარმოებულია მდგრად თევზსარეწ მეურნეობებში დაჭერილი მთლიანი თევზისგან, კიბოსნაირებისგან ან მოლუსკებისგან და არ მოიხმარება ადამიანის მიერ ორგანული წარმოების წესის 39-ე მუხლის მე-7 პუნქტის



			„გ.დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად
4	10	თევზის ფეკილი და თევზის ქონი	ზრდის ფაზაში, შიდა წყლებში თევზის, პენეიდის ოჯახის კრევეტების, მტკნარი წყლის კრევეტების (<i>Macrobrachium</i> spp.), ასევე ტროპიკული მტკნარი წყლის თევზებისთვის მეთევზეობიდან, რომლებიც კომპეტენტური ორგანოს მიერ აღიარებული სქემით სერტიფიცირებულია, როგორც მდგრადი. ორგანული წარმოების წესის“ - 39-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აუზებსა და ტბებში ბუნებრივი საკვები არ არის ხელმისაწვდომი თევზის ფეკილის არაუმეტეს 25% და თევზის ზეთის 10% კრევეტებისა და მტკნარი წყლის კრევეტების საკვებ რაციონში (<i>Macrobrachium</i> spp.) და თევზის ფეკილის ან თევზის ზეთის არაუმეტეს 10% სიამის ლოქოს საკვებ რაციონში (<i>Pangasius</i> spp.), ორგანული წარმოების წესის 39-ე მუხლის მე-7 პუნქტის „დ.ა.გ.ა“ და „დ.ა.გ.ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად
5	12.1.5	საფუარი	როდესაც არ არის ხელმისაწვდომი ორგანული წარმოებიდან
5.1	ex 12.1.9	მხოლოდ უჯრედული ცილები <i>Trichoderma viride</i> და <i>Aspergillus oryzae</i> -დან	მხოლოდ არა-გმო შტამისა და საკვები სუბსტრატიდან მიღებული. არ უნდა იყოს მიღებული სუბსტრატიდან, რომელიც შეიცავს სინთეზურ აზოტის წყაროებს. მცოხნელი და სხვა ბალახისმჭამელი ცხოველებისთვის გამოყენების შემთხვევაში, სუბსტრატი უნდა იყოს ორგანული წარმოების. გამოყენებისას აქაფების საწინააღმდეგო საშუალებები უნდა იყოს დაშვებული ორგანული წარმოებისთვის
5.2	12.1.10	ცილით მდიდარი პროდუქტები <i>Bacillus subtilis</i> -დან	მხოლოდ არა-გმო შტამისა და საკვები სუბსტრატისგან მიღებული. არ უნდა იყოს მიღებული სუბსტრატებისგან, რომლებიც შეიცავს სინთეზურ აზოტის წყაროებს. მცოხნელი და სხვა ბალახისმჭამელი ცხოველებისთვის გამოყენების შემთხვევაში სუბსტრატი უნდა იყოს ორგანული წარმოების. გამოყენებისას აქაფების საწინააღმდეგო საშუალებები უნდა იყოს დაშვებული ორგანული წარმოებისთვის
6	12.1.12	საფუვრის პროდუქტები	როდესაც არ არის ხელმისაწვდომი ორგანული წარმოებიდან
6.1	ex 13.6.4	კალციუმის სტეარატი	
6.2	13.11.1	პროპილენ გლიკოლი; [1,2-პროპანდიოლი]; [პროპან-1,2-დიოლი]	მისი ცხოველთა საკვებში გამოყენება დაშვებულია მხოლოდ „ცხოველის საკვების გამოყენებისა და ბაზარზე განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 თებერვლის №58 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ „განსაკუთრებული კვებითი დანიშნულების ცხოველის საკვებში“ კეტოზთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად, მათ შორის, ბოლუსის ფორმით. მხოლოდ მერძულ ძროხებში, ცხვრებსა და თხეებში, საჭიროების შემთხვევაში, და შეზღუდული პერიოდის განმავლობაში
7	13.11.1	პროპილენგლიკოლი; [1,2-პროპანდიოლი]; [პროპან-1,2-დიოლი]	შეზღუდულია გამოყენებისთვის როგორც საკვები, რომელიც განკუთვნილია განსაკუთრებული კვების მიზნებისთვის: კეტოზის რისკის შემცირება მერძულ ძროხებში, ცხვრებსა და თხეებში. შეზღუდულია შერჩევითი გამოყენებისათვის (მხოლოდ ცალკეულ ცხოველებში, რომლებიც საჭიროებენ და შეზღუდული პერიოდის განმავლობაში)
8		ქოლესტეროლი	პროდუქტი, მიღებული ლანოლინისგან, გასაჰვნის რეაქციით, დაყოფით და კრისტალიზაციით, მოლუსკებისგან ან სხვა წყაროებიდან, რათა უზრუნველყოფილი იქნეს პენეიდის ოჯახის კრევეტებისა და მტკნარი წყლის კრევეტების (<i>Macrobrachium</i> spp.) აოდენობრივი კვებითი მოთხოვნები ზრდის ეტაპზე და სიცოცხლის ადრეულ ეტაპებზე ინკუბატორში და საშენში, როდესაც ის არ არის ხელმისაწვდომი ორგანული წარმოებიდან



9	ბალახები	ორგანული წარმოების წესის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე-დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კერძოდ: • როდესაც არ არის ხელმისაწვდომი ორგანული ფორმით • წარმოებულია/დამზადებულია ქიმიური გამსხნელების გარეშე; • საკვების რაციონის 1%-ს არ აღემატება
10	ბადაგი	ორგანული წარმოების წესის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე-დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კერძოდ: - როდესაც არ არის ხელმისაწვდომი ორგანული ფორმით - წარმოებულია/დამზადებულია ქიმიური გამსხნელების გარეშე; - საკვების რაციონის 1%-ს არ აღემატება
11	ფიტოპლანქტონი და ზოოპლანქტონი	მხოლოდ ორგანული მოზარდულების ლარვის მოშენებისას
	სპეციფიკური ცილოვანი ნაერთები	ორგანული წარმოების წესის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, კერძოდ: 2029. წლის 31 დეკემბრამდე; - როდესაც ორგანული ფორმით არ არის ხელმისაწვდომი; - წარმოებულია/დამზადებულია ქიმიური გამსხნელების გარეშე; - 35 კგ-მდე გოჭებისა და ახალგაზრდა ფრინველის გამოსაკვებად; - 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკვების მშრალი ნივთიერების მაქსიმუმ 5%-ს არ აღემატება
	სუნელები	ორგანული წარმოების წესის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე-დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კერძოდ: • როდესაც არ არის ხელმისაწვდომი ორგანული ფორმით; • წარმოებულია/დამზადებულია ქიმიური გამსხნელების გარეშე; • საკვების რაციონის 1%-ს არ აღემატება.
1. „ცხოველის საკვების მასალის კატალოგის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 თებერვლის №59 დადგენილება.		

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 13 ოქტომბრის დადგენილება №451 - ვებგვერდი, 15.10.2025წ.

ნაწილი „ბ“

დაშვებული ცხოველის საკვები დანამატები და გადამუშავების დამხმარე ტექნოლოგიური დანამატები

(რომლებიც განსაზღვრულია ორგანული წარმოების წესის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად)

ა) ამ ნაწილით განსაზღვრული ცხოველის საკვების დანამატები, დაშვებული უნდა იქნეს „ცხოველთა კვებაში გამოსაყენებელი ცხოველის საკვები დანამატების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 3 ოქტომბრის N473 დადგენილების შესაბამისად;

ბ) ამ ნაწილით განსაზღვრული სპეციფიკური პირობები გამოიყენება „ცხოველთა კვებაში გამოსაყენებელი ცხოველის საკვები დანამატების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 3 ოქტომბრის N473 დადგენილებით განსაზღვრულ დამშვების/ავტორიზაციის



1. ტექნოლოგიური დანამატები

ცხრილი №1

ა) კონსერვანტები

№	საიდენტიფიკაციო ნომერი ან ფუნქციონალური ჯგუფი	დასახელება	სპეციფიკური პირობები და ზღვრები
1	1 a 200	სორბინის მჟავა	
2	1 k 236	ქიანქველმჟავა	
3	1 k 237 i	ნატრიუმის ფორმატი	
4	1 a 260	ყინულოვანი ძმარმჟავა	
5	1 a 270 ; 1 a 270 i	რძემჟავა	
6	1 k 280	პროპიონმჟავა	
7	1 a 282	კალციუმის პროპიონატი	მისი ცხოველთა საკვებში გამოყენება დაშვებულია მხოლოდ „ცხოველის საკვების გამოყენებისა და ბაზარზე განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 თებერვლის №58 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ „განსაკუთრებული კვებითი დანიშნულების ცხოველის საკვებში“ მასტიტისა და სუბკლინიკური ჰიპოკალცემიის რისკის შემცირებისათვის, მათ შორის, ბოლუსის ფორმით. მხოლოდ მერმეულ ძროხებში, საჭიროების შემთხვევაში, და დროის შეზღუდულ პერიოდში
8	1 a 330	ლიმონმჟავა	

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 13 ოქტომბრის დადგენილება №451 - ვებგვერდი, 15.10.2025წ.

ცხრილი №2

ბ) ანტიოქსიდანტები

№	საიდენტიფიკაციო ნომერი ან ფუნქციონალური ჯგუფი	დასახელება	სპეციფიკური პირობები და ზღვრები
1	1b306(i)	ტოკოფეროლის ექტრაქტი მცენარეული ზეთიდან	
2	1b306(ii)	ტოკოფეროლით მდიდარი (დელტა) ექტრაქტი მცენარეული ზეთიდან	

ცხრილი №3



გ) ემულგატორები, სტაბილიზატორები, შემასქელებლები და ჟელეს წარმომქმნელი აგენტები

№	საიდენტიფიკაციო ნომერი ან ფუნქციონალური ჯგუფი	დასახელება	სპეციფიკური პირობები და ზღვრები
1	1c322, 1c322i	ლეციტინები	მხოლოდ თუ წარმოებულია ორგანული ნედლეულიდან; 2027 წლის 1 იანვრიდან მხოლოდ ორგანული წარმოებიდან
2	E 407	კარაგინანი	მხოლოდ შინაური ბინადარი ცხოველის საკვებში
3	E 410	პარკოსანი (ლობოს) ხის (Ceratonia siliqua (L.) გუმფისი	მხოლოდ შინაური ცხოველების საკვებისთვის, რომელიც მიიღება მოხალვით, მხოლოდ ორგანული წარმოებიდან, თუ ეს შესაძლებელია
4	E 414	აკაციის - Acacia senegal (L) გუმფისი - გუმი არაბიკი	მხოლოდ შინაური ცხოველების საკვებისთვის, რომელიც მიიღება მხოლოდ ორგანული წარმოებიდან, თუ ეს შესაძლებელია
5	E 415	ქსანტანის (Xanthomonas campestris) გუმფისი	
6	E 412	გუარის (Cyamopsis tetragonolobus L.) გუმფისი	

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 13 ოქტომბრის დადგენილება №451 - ვებგვერდი, 15.10.2025წ.

ცხრილი №4

დ) შემკვრელები და შეწებების (შეკოშტვის) საწინააღმდეგო აგენტები

№	საიდენტიფიკაციო ნომერი ან ფუნქციონალური ჯგუფი	დასახელება	სპეციფიკური პირობები და ზღვრები
1	E 535	ნატრიუმის ფეროციანიდი	მაქსიმალური შემცველობა: 20 მგ/კგ NaCl, გამოთვლილი, როგორც ფეროციანიდის ანიონი
2	E 551b	კოლოიდური კაჟმიწა	
3	E 551c	კიზელგური (დიატომიტური თიხა, გაწმენდილი)	
4	1m558i	ბენტონიტი	
5	E 559	კაოლინის თიხა, აზბესტისგან თავისუფალი	
6	E 560	მკვრივი ტალკისა და ქლორიტების ბუნებრივი ნარევი	
7	E 561	ვერმიკულიტი	
8	E 562	სეპიოლიტი	
9	E 563	სეპიოლიტური თიხა	
10	E 566	ნატროლიტი-ფონოლიტი	
11	1g568	კლინოპტილოლიტი ლექისგან წარმოქმნილი	



12	E 599	პერლიტი	
13	lg 599	ილიტ-მონტმორილონიტი-კაოლინიტი	

ცხრილი №5

ე) სილოსის დანამატები

№	საიდენტიფიკაციო ნომერი ან ფუნქციონალური ჯგუფი	დასახელება	სპეციფიკური პირობები და ზღვრები
1	lk	ფერმენტები, მიკროორგანიზმები	დასაშვებია მხოლოდ ადეკვატური ფერმენტაციის უზრუნველსაყოფად
2	lk236	ჭიანჭველმჭავა	
3	lk237	ნატრიუმის ფორმატი	
4	lk280	პროპიონმ ავა	
5	lk281	ნატრიუმის პროპიონატი	

ცხრილი №6

